

საკითხავი თთუესა ოკდონბერსა

ჩამებაჲ წმიდისა წნასტასიამსი



და იყო ჟამსა მას, რაჟამს მოიქცა მეფე **ნოკლიტიანე შაკიდონით სურმიად**, აუწყეს მას, ვითარმედ **წნასტასია** ჰმსახურებს წმიდათა, რამეთუ იყო იგი დედათაგანი წარჩინებულთა **წრომეს** შინა სახლისაგან ერის-მთავართაჲსა. **წა** ვითარცა ჰხედვიდა იგი მრავალთა მონამეთა მოლუაწებასა კეთილად მსახურებისათჳს, რაჟამს-იგი კადნიერად და მოსწრაფებით აღიარებდეს შჯულისა მათსა და იგუემებოდეს მსახურთა მიერ უშჯულოთა, გულისხმა-ყო და ეუნყა მას, ვითარმედ ვნება იგი მათი მომატყუებელ არს მათა ცხორებისა საუკუნოჲსა.

შაშინ ლმობიერ იქმნა სარწმუნოებისათჳს და სურვიელად ისწრაფდა, რაჲთამცა შეჰყო მან თავი თჳსი რიცხუსა წმიდათა მონამეთასა. **წა** ეზიარა იგი ვნებათა მათ მათთა, რაჲთა მათ თანავე დაიმკდროს ცხორებაჲ საუკუნოჲ. **წა** ვითარცა შეაყო თავი თჳსი მსახურებასა წმიდათასა, საპრობილესა შინა შეყენებულთა და შებორკილებულთა, ეზიარებოდა იგი სარწმუნოებასა მათსა გონებითა, და რამეთუ იყო იგი მდიდარ საფასითა მრავლითა, ხოლო განძარცულ იქმნა იგი ურწმუნოებისაგან და განიშიშულა საფასეთაგან მიცემითა გლახათაჲთა და **ჯუარს-აცუა** თავი თჳსი შიშითა იმრთისაჲთა.

წა გამოსახვით ეოცებოდა მას სიყუარული წამებისაჲ, და სურვიელად მისდევნ მათ, ყოველნი რომელნი იწამებინ სიყუარულისათჳს **წრისტიანისა** ჟამთა მათ და დღეთა, და ჰმსახურებნ მათ თჳსითა მონაგებითა და ჰკურნებნ წყლულთა მათთა და შეუდგნ მათ ქალაქითი ქალაქად და დაბითი დაბად და არავის მათგანსა უგულუბელს-ჰყოფდა.

წა შეუდგა მას წმიდა **ქეოდოტეცა** და იცა კეთილთა საქმეთა მისთა ემსგავსებოდა. **წა** შეიერთნეს ესენი, და იყო ვითარდა ერთი სული ორთა გუამთა შინა განყოფილი სიყუარულითა და სარწმუნოებითა და მჭურვალედ

მოსწრაფებითა. **წა** ესენი ყოველთა ჟამთა ჰკურნებდეს წყლულებასა მას წმიდათასა და მწუხარეთა ნუგეშინის-სცემდეს და მოშობთა განამწნობდეს და უძლურთა განაძლიერებდეს და არარაჲ სხუაჲ ზრუნვად აქუნდა, არამედ რომელნი-იგი საპრობილესა შეყენებულ იყვნეს და შებორკილებულ სახელისათჳს ქრისტჳსისა.

2. **შა**ს ჟამსა კრებული **წრისტიანეთა** ივლტოდა პირისაგან **ნოკლიტიანე** მეფისა ყოველსა ქუეყანასა. **წა** ვითარცა ესე ეუნყა, ბრძანა, რაჲთა მუნქუესვე მოჰსრვიდნენ **წრისტიანეთა** ყოველთა მრავალ-ფერითა სატანჯველითა, და უკუეთუმცა ვითარ შეუძლეს ერთსა შინა დღესამცა ავოცეს ყოველი ნათესავი **წრისტიანეთა**. **ქოლო** რომელთა ენებოს ზორვად ღმერთთა მათთა შეგინებულთა, იგინი პატივ-ცემულ იქმნენ მრავლითა პატივითა, და განამდიდრნეს უზუებით.

წა ვითარცა გამოხდა ესე განჩინებაჲ მეფისაგან, და წარივლინნეს ერის-მთავარნი ყოვლით კერძოვე, და მოსწრაფე იყუნეს იგი ყოველნი აღსრულებად ბრძანებასა მეფისასა, და რომელთამე ზღუასა დაანთქმიდეს და რომელთამე მახვლითა მოჰსრვიდეს და რომელთამე მრავლის-ფერითა სატანჯველითა მოსწყუედდეს. **წა** სავსე იყუნეს საპრობილენი და დილეგნი ერთთა **წრისტიანეთა**ჲთა.

3. **ქოლო** წმიდა **წნასტასია** მოჰვლინ მათ ყოველთა და ჰმსახურებნ და ნუგეშინის-სცემნ. **წა** რომელნიმე წარიყვანნიან ლამით და მოსრნიან. **წა** განთიად რაჲ მივიდის **წნასტასია** და არა პოვნის იგინი საპრობილესა შინა, ტირნ იგი მათთჳს და იგლოვნ მწუხარედ. **შა**შინ ვითარცა იხილეს იგი მცველთა საპრობილისათა ესრედთ მწუხარებასა შინა და ურვასა ყოველთა დღეთა, მიუგეს და ჰრქუეს: «რაჲ არს მიზეზი ცრემლოჲსა შენისაჲ?» მიუგო წმიდამან **წნასტასია** და ჰრქუა: «მონათა იმრთისათა წმიდათა ვეძიებ, რომელნი საპრო-

* საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1966. გვ. 20-31 (ნუსხა-ხუცური ტექსტი).

ბილესა შეყენებულ იყვნეს, რამეთუ არა უწყი, ვიდრე წარიყვანნეს იგინი». შიუგეს მცველთა მათ და ჰრქუეს: «და შენ უკუე ქრისტიანე ხარა?» მიუგო **წნასტასია** და ჰრქუა: «ჰე, რამეთუ ღრისტიანე ვარ».

შაშინ შეიპყრეს იგი მესაპყრობილეთა და წარიყვანეს იგი ურაკპარაკად და წარადგინეს იგი წინაშე მსაჯულისა და ჰრქუეს: «ესე დედაკაცი ვპოეთ მახლობელად საპყრობილესა მტირალად. შა ვითარ ვჰკითხეთ მას, ვითარმედ: 10 „რახსა სტირ აქა“, მომიგო მან და მრქუა ჩუენ: „ვეძიებ ღრისტიანეთა“. შა კუალად ვჰკითხეთ მას, უკუეთუ ღრისტიანე არს ეგე, ხოლო მან თვნიერ შიშისა კადნიერად აღიარა, ვითარმედ ღრისტიანე არს ეგე. ღოლო ჩუენ შევიპყართ იგი და წარმოვადგინეთ წინაშე დიდებისა შენისა, რაფთა განიკითხო ეგე, ვითარცა ინებო».

4. შაშინ ვითარცა ესმა მსაჯულსა მას, ჰკითხა წმიდასა **წნასტასიას** და ჰრქუა: «რა უკუე არს სახელი შენი?» მიუგო და ჰრქუა მას: «**წნასტასია** არს სახელი ჩემი». ზრქუა მას **ჲარუნას**: «ჟემმარიტად, ვითარ ესენი იტყოდიან შენთჳს, ღრისტიანე ხარა?» მოუგო წმიდამან **წნასტასია** და ჰრქუა: «არარაჲ სხუად ჴუჴული უწყი, თვნიერ ღრისტიანობისა». ზრქუა მას **ჲარუნას**: «ვინად მოიწიე შენ ამას ქუეყანასა?» წმიდამან **წნასტასია** ჰრქუა: «ქალაქისაგან **ზრომისა** მოსრულ ვარ მე». ზრქუა მას **ჲარუნას**: «და ზრომით ვითარ მოიწიე აქა?» წმიდანამ **წნასტასია** ჰრქუა მას: «სიყუარულითა ქრისტესითა, რომლისათჳსცა წარვაგე ყოველი მონაგები ჩემი, ვითარცა მან მიბრძანა, და შეუდეგი მას». **ჲარუნას** ჰრქუა: «და სადა უკუე არს აწ ღრისტი?» წმიდამან **წნასტასია** ჰრქუა: «**აათა** შინა მარჯუენით შამისა მჴდომარედ არს და ქუეყანასა ზედა წმიდათა შორის შისტა არს ჴგი».

ზრქუა მას **ჲარუნას**: «და სადა არიან წმიდანი შისნი?» წმიდამან **წნასტასია** ჰრქუა: «ვიდრე დღესამომდე აქა იყუნეს». **ჲარუნას** ჰრქუა: «და დღეს არა არიანა აქა?» წმიდამან **წნასტასია** ჰრქუა მას: «**ფორცითა** არღარა არიან იგინი აქა, რამეთუ თქუენ განსდევნენით იგინი». ზრქუა მას **ჲარუნას**: «და ვინ არიან, რომელ ჩუენ განვდევნენით?» ჰრქუა მას წმიდამან **წნასტასია**: «წმიდანი და უბრალონი მონანი იმრთისანი, რომელთაგანნი არიანლა საპყობილეთა შინა თქუენთა, რომელთაცა განუკუთნე თავი ჩემი მსახურებასა მათსა

ყოვლითა გულითა ჩემითა, რაფთა არარაჲ დააკლდეს ერთსაცა მათგანსა, რამეთუ რომელი ვიხილი შერყეულად, განვამტკიცი იგი, და რომელი ვიხილი მწუხარედ, ნუგეშენის-ვსცი.

5 შა მაქუს მე მსახურებასა ამას შინა წმიდათასა წელიწადი და ცხრა თუჴ. შა ამას ლამეს წარმივიდეს რომელნიმე მათგანნი **აათა** სასუფეველსა, დიდებულნი წამებისა გვრგვინთა. შა ვითარცა მე მარტოჲ დავშთი, და იგინი 10 მიმეხუნეს ჩემგან, არა დავიმაღე, არამედ ცხადად განვაცხადე თავი ჩემი, რამეთუ აღგზებულ იქმნა გონებაჲ ჩემი შურითა წმიდათათა, რამეთუ იგინი წინაშე იმრთისა სუფევენ, და მე აქა დაშთომილ ვარ». ზრქუა მას **ჲარუნას**: 15 «ესე უწყოდე, რამეთუ სატანჯველნი, რომელ განმზადებულ არიან შენთჳს, არა მცირე და სუბუქ არიან შენთჳს, არამედ არწმუნე ამათ, რომელთა ეშინის ბრძანებისაგან ჩუენისა, რაფთა უგონ ღმერთთა, და განერე».

5. შიუგო წმიდამან **წნასტასია** და ჰრქუა მას: «მე რომელნი ვიხილნი მწუხარედ და შეორგულეებულად შიშისაგან სატანჯველთაჲსა, ფერჯთა მათთა ვაკოცებდი და ნუგეშინის-ვსცემდი, რაფთა დაუთმონ მტკიცედ 25 სატანჯველთა თქუენთა, და ვიდრემდის საფასეჲ მაქუნდა, საწმარად მათა წარვაგებდი. შა რაჟამს დაილია საფასეჲ ჩემი, მივეც თავი ჩემი წამებასა და ვისწრაფი მე, რაფთა მივენიო მათ, რომელთა წარმისწრვეს მე სასუფეველად. შა ვითარ-მე ვარწმუნო მონათა იმრთისათა გებად ეშმაკთა, ვითარ-ეგე შენ მეტყჴ 30 მე?» ჰრქუა მას **ჲარუნას**: «ვინაითგან ხარ შენ ესევეითარსა შინა ურწმუნოებასა, ამისთჳს არა ინებეს ღმერთთა დაფარვად ჩუენგან საქმედ 35 შენი, არამედ გყვეს შენ, რაფთა პირითა შენითა გამოგვცხადო სადღუმლოჲ გულისა შენისაჲ, რომელსა ზედა ხარ შენ. წმისათჳსცა ვჰმადლობთ მათ ჴერისაებრ».

ზრქუა მას წმიდამან **წნასტასია**: «მე დავიწუები სურვილითა წამებისაჲთა, რაფთამცა ვეწიე მათ, რომელთა წარმისწრვეს მე სასუფეველსა **აათასა**, რამეთუ აღესრულა თქმული იგი **ოფლისა** ჩუენისა ჴესუ ღრისტესი, რომელ თქუა, რამეთუ: „იყვენით პირველნი უკანაჲსკნელ და უკანაჲსკნელნი პირველ“ (მრკ.10.31. 45 ზკ.13.30), რამეთუ რომელი იყო ჴუჴულითა უკუანაჲსკნელ ჩემსა, წარმისწრო მე წამებისა მოსაგებელითა». ზრქუა მას **ჲარუნას**: «მე დედაკაცი, ვითარ ვხედავ მე, სიცოფესა

შენსა არა დააცადებ, დალაცათუ ხარ შენ შერაცხილთაგანი ნათესავით».

შიუგო მას წმიდამან **წნასტასია** და ჰრქუა: «უკუეთუმცა მინდა მე მამული პატიოსნებად ჯორციელად, არამცა აღვიარე, ვითარმედ **ჴრისტიანე** ვარ, არამედ ვთქუმცა, ვითარმედ ასული ვარი მე ბრაკსტარისაჲ».

6. **წა** ვითარცა ესმა ესე **ჴარუნას**, ბრძანა შეპყრობად ყოველთა მონათა მისთა, რომელნი მისდევდეს მას, და გამოჰკითხვიდა მათ, უკუეთუ ჭეშმარიტად ასული არს იგი ბრაკსტარისაჲ, რომელ არს შემდგომი მეფისა, ვითარცა იტყვს. **წა** ვითარცა ეუწყა მათგან, ვითარმედ ჭეშმარიტსა იტყვს, მაშინ აუწყა ამბავი მისი მეფესა, ვითარმედ: «ასული ბრაკსტარისაჲ, დიდებული **სრომთა** ქალაქისაჲ შედტყუევს **ჴრისტიანეთა** და აცთუნეს იგი **ჴრისტიანე** ყოფად, და სურვიელად ჰნებავს, რაჲთა დაიკლას იგი სახელისათჳს **ჴრისტჳსისა**, ვითარდა მსხუერპლი სათანადოდ. **წნ** უკუე რაჲცა ბრძანოს უძლეველმან მეფობამან თქუენმან».

წა ვითარცა ესმა ესე მეფესა **ბიოკლიტიანეს**, ბრძანა საპყრობილესა შინა კრძალულად დაცვაჲ მისი, რამეთუ ეუწყაცა მისთჳს, ვითარმედ დიდძალი მონაგები განუყიდიეს და აქუს მას საფასჳ ფრიადი. **წა** ხვალის დღე ბრძანა **ჴარუნას**, რაჲთა შეიყვანონ იგი ქალაქად სამშჯავროდ, და გამოწულილვით გამოჰკითხა მას, თუ რომელი მონაგებთაგანი განყიდა, გინა რაჲ უკუე ყო საფასეჲ იგი, ანუ სადა დაუმარხავს იგი.

შიუგო და ჰრქუა მას წმიდამან **წნასტასია**: «უკუეთუმცა ჩემ თანა და-რაჲ-შთომილ იყო მცირედიცა საფასეთა ჩემთაგანი წარსაგებელი, არამცა განმეცხადა თავი ჩემი პირველ მისა წარგებამდე. **ჴოლო** რაჟამს წარვაგე ყოველივე და ვიხილე, რამეთუ არლარაჲ დაშთომილ არს ჴელმწიფებასა ქუეშე ჩემსა მცირედი გინა დიდი, მაშინ მივეც თავი ჩემი ლუანლსა **ჴრისტიანთჳს**, რამეთუ ვერ შემძლებელ იქმნა ეშმაკი მიღებად მცირედცა მონაგებთა ჩემთაგანისა საჴმარად თქუენ, მსახურთა მისთათჳს».

7. **წა**შინ ვითარცა შევიდა მეფჳ **ბიოკლიტიანე** საირ ქალაქად, გულს-მოდგინედ ეძიებდა მონაგებსა წმიდისა **წნასტასიას**, რომლისათჳს უწყებულ იყო მისა; და ვითარცა არარაჲ პოვა, შეურაცხ-ყო იგი. **წა**შინ **ჴარუნას** ჰრქუა წმიდასა **წნასტასიას**: «ღმერთთა და ღმ-

რთეებათა დედალთა და მამალთა, რომელთა ჰმონებდა მამაჲ შენი და ჰმსახურებდა ბრაკსტარი, ჯერ-არს შენდაცა მსახურებაჲ მათი და უვარ-ყოფად **ჴრისტიე**, **ჴომლისასა** იტყოდიან, ვითარმედ **ორიჲ** იყოო **სგიო**, და მოკლეს იგი ნათესავთავე მისთა სიბორგილისა მისისათჳს».

შიუგო და ჰრქუა მას წმიდამან **წნასტასია**: «მე ღმერთთა და ღმრთეებათა, რომელთა ჰმონებდა მამაჲ ჩემი, უკუეთუმცა მეწება მსახურებაჲ მათი, არამცა აღმეარა მე სახელი წმიდაჲ **აფლისა** და **იმრთისა** ჩემისა **სესუ ჴრისტიანისი**». **სრქუა** მას **ჴარუნას**: «უკუეთუმცა პირველ ჰმსახურებდი მათ მამისა შენისა თანა, რაჲსა უკუე დაუტევე მონებაჲ მათი?» **მიუგო** და ჰრქუა მას წმიდამან **წნასტასია**: «არცაოდეს მიმსახურებია და არცა დამიტევებია მსახურებაჲ მათი, რომელნი არა არიან იმერთ, არამედ დაჴსნდებიან, ვითარცა ქსელი დედაზარდლისაჲ წინაშე ქართა, რამეთუ ასკინტლვენ მფრინველნი მათ ზედა, და დაიბუდის თაგუმან მათ შინა. **წმისთჳცა** გამოვადნვენ რომელნიმე მათგანნი ვეცხლისანი და ვაქმნიდ იგი დრამად და წარვაგე იგი ნებასა შინა **აფლისა** ჩემისა **სესუ ჴრისტიანისა**». **სრქუა ჴარუნას**: «ვერლარა შემძლებელ ვარ სმენად სასმენელთა ჩემთა გმობასა შენსა ღმერთთა მიმართ და დათმენად მას».

8. **წა**შინ განილიმა წმიდამან **წნასტასია** და ჰრქუა: «**ჴ** საკუირველი! ვითარ გარდაქცევულ არს გონებაჲ თქუენი ურწმუნოებად, და გეშინის ქვათა და ძელთაგან; და რომელმან დაწუნეს იგინი ცეცხლითა, გინა დაღენმეს კუერთხითა, გინა გამოადვნეს იგინი ბრძმედსა შინა, ურწმუნოდ უწოდთ მას. **აკუეთუ** ჰგონებთ თქუენ, ვითარმედ ძალ-რაჲმე-უც კერბთა მათ თქუენთა, მაცადეთ მე დამუსრვად მათა და მერმე არქუთ მათ, რაჲთა შური-იგონ ჩემგან თავით თჳსით. **წა** უკუეთუ შემძლებელ იქმნენ იგინი თავთა თჳსთათჳს შურის-ძიებად ჩემგან, თვთ მომაგონ მე მსგავსად შეურაცხყოფისა ჩემისა მათა მიმართ, და ნუ აგებთ მათ. **წა** უკუეთუ ჰგონებ, ვითარმედ ცხოველ არიან ღმერთნი თქუენნი, ვითარ უკუე არა იძრვიან და არცა ირყევიან? და უკუეთუ სთქუათ, ვითარმედ ნივთისაგან ქმნულნი არიან იგინი, ამისთჳს არა განრისხნებიან, უკუეთუ გამოიღნენ, გინა დაიწუნენ, გინა შეამუსრნენ».

წნ უკუე თქუენცა მსგავს მათა ხართ უგუნურებითა, ვინაჲთგან ჰმსახურებთ უსუ-

ლოთა და ვინაფთგან ვითარცა-იგი რაჟამს შედმუსრნიან კუერითა და გამოიდნენიან ცეცხლითა, დუმიედ და არარას, დიდსა გინა მცირესა, იტყვედ, ჯერ-არს თქუენდაცა დუმილით განყენებად მათა მსახურებისაგან. **შა** ღმერთი თქუენნი ვერარას შემძლებელ არიან საქმედ და ვერცა რაჲ ძალ-უც, არამედ ეშმაკნი, რომელნი მკვდრ არიან მათ შინა, იგინი აღგძრვენ შურის-გებად მათა».

შიუგო მას **ჴარუნას** და ჰრქუა: «ამას გიბრძნებენ უძლეველნი მეფენი ჩუენნი, რაჲთა დააცადო მრავალ-მეტყუელებად ესე შენი და უგო ღმერთთა ცხოველთა; და უკუეთუ არა, მრავლითა სატანჯველითა აღესრულო მსგავსად გმობისა შენისა და ურწმუნოებისა მათა მიმართ». **შიუგო** წმიდამან **წნასტასია** და ჰრქუა: «მე ამას ვიტყვ, რაჲთა აღვესრულო სახელისათჳს ქრისტჳსისა, რამეთუ სიკუდილი ქრისტჳსთჳს ცხორება საუკუნო არს». **სრქუა** მას **ჴარუნას**: «და დააცადე ამიერიტგან ცუდის-მეტყუელებად ეგე შენი და იქმენ ბრძენ და სცხონდე». **შიუგო** წმიდამან **წნასტასია** და ჰრქუა: «მოციქული **სავლე** იტყვს: „რომელსა უნდეს თავი თჳსი ბრძენ“ (1 კორ. 3, 18), იქმენი იგი სულელ, რაჲთა იყოს იგი ბრძენ, რამეთუ მაქუს მე სიბრძნე ღმრთისაჲ, რომელი თქუენ შორის სიცოფე არს».

9. სრქუა მას **ჴარუნას**: «ანუ სცოფობ ანლა თუ?» მიუგო წმიდამან **წნასტასია** და ჰრქუა: «ცოფად მიწოდითა მე, რომელი-ესე ვასწავებ უგუნურებასა თქუენსა? ანუ არამე თქუენ ხართა ცოფნი და უგუნურნი, რომელნი ვერ შემძლებელ ხართ სიტყვთა ჩემთა გულისხმის-ყოფად?» ჰრქუა მას **ჴარუნას**: «აჰა ესერა მე გწყალობ, ხოლო შენ მტკიცედ დადგრომილ ხარ ცუდის-მეტყუელებასა და წინა-აღდგომასა და აცთუნებ თავსა შენსა».

შიუგო და ჰრქუა მას წმიდამან **წნასტასია**: «არამედ უფროსლა მე მეწყალის უგუნურებად თქუენი, რამეთუ დიდებისა ამის და მთავრობისა თქუენისა წარმავალისა გეშინის კაცისაგან მოკუდავისა უფროს, ვიდრე არა იმრთისა უკუდავისა». **სრქუა** მას **ჴარუნას**: «უგე ღმერთთა, რაჲთა კუალად იქცე ქალაქადვე შენდა სიხარულით». **შიუგო** წმიდამან **წნასტასია** და ჰრქუა: «ქალაქი ჩემი ჴელით-უქმნელი არს და უკუნისამდე ჰგიეს; მისა მსურის, რაჲთა დავემკვდრო მას შინა».

10. შა ვითარცა აღასრულეს სიტყვს-გებაჲ

ესე და უფროსიცა ამისა, და კუალად იქცა მეფჳ ქალაქადვე სამეუფოდ. **შიუძღუანა ჴარუნას** წმიდაჲ **წნასტასია** **ხოლტიანეს** ჴელმწიფესა და აუნყა ყოველი საქმედ მისი, და ვითარ-იგი ვერ შემძლებელ იქმნა მიქცევად მისსა კერპთ-მსახურებად მისა, რაჲთა მან განიკითხოს იგი. **ხოლო** მას ვითარ ესმა მისთჳს, განიდრახვიდა გონებასა თჳსსა, თუ ვითარ არწმუნოს წმიდასა მას გებად კერპთა.

10. შაშინ დაადგრა მას ზედა კაცი ერთი, რომელსა ჰრქვან **ველიანოს**, მღვდელთ-მოდღუარი არს იგი ტაზრისაჲ; ჰნებაჲს მას, რაჲთა მან განაგოს საქმედ მისი ჴერისაებრ, და ჴერ-არს, რაჲთა მისცე ეგე მას; და უკუეთუ ვერ დააჯეროს და არწმუნოს მას გებაჲ კერპთაჲ, მოელოს მისგან ყოველი მონაგები მისი და მიეცეს ჴელმწიფესა, და იგი მოიკლას მახვლითა. **შაშინ** სათნო-უწინა სიტყუად იგი მისი **ჴულტიანეს** ჴელმწიფესა და ამით პაემნითა მიუთუალა წმიდაჲ **წნასტასია** **ველიანეს**, ხოლო მან წარიყვანა იგი საყოფელად თჳსა და იწყო ჩუენებად მისა საშუებელთა ამის ქუეყანისათა და საცთურთა და გემოთა ამის სოფლისათა, და უჩუენა მას სიმრავლე ოქროსა და ვეცხლისა და სამოსელი ფერად-ფერადი და სარეცელნი და ცხედარნი ვეცხლისანი დარეცილნი სარეცელითა პატიოსნითა და აურაცხელნი სამკაულნი და ტაზრები შუენიერად შემკობილი მრავლითა საუცრითა.

შა კუალად უჩუენნა მას მახვლნი აღმოვდილნი და საჭუმილი აღგზებული და ჯაჭუნი რკინისანი და ბორკილები მძიმეები და სახლი საცხედ სიბნელითა და სიმყრალითა. **შა** ჰრქუა მას: «ესე ორივე გიხილავს: საშუებელიცა და სატანჯველიცა. **წნ** უკუე ერთი ამათგანი აღირჩიე თავისა შენისაჲ: ანუ ჰმსახურე ღმერთთა და მიხზუნე საშუებელნი ესე, ანუ ურჩ ექმენ ღმერთთა და თავს-ისხენ სატანჯველნი, რომელ იხილენ».

11. შა ვითარცა იხილა წმიდამან **წნასტასია** ესე ყოველი, მიუგო სიხარულით და კადნიერად **ველიანეს** კერპთ-მსახურსა: «სახლსა ამას, რომელსა შენ ჰგონებ ბნელად, მე ვხედავ მას შინა ნათელსა და განსასუენებელსა უფროს ყოველთა სამკვდრებელთა შენთასა; ხოლო ტაზართა მათ შინა და საგანძურთა არაჲ საწადელი ვიხილე, გინა სარგებელი; და ვიხილეცა ვეშაპი დიდი მწოლარე ოქროსა შენსა ზედა და ცხედარსა ზედა ვეცხლისასა

მტუერი დადებული და სამკაულსა შენსა ზედა მჯდომარეც ეშმაკი. ღოლო ესე ჯაჭუები და ბორკილები რკინისაჲ, უკუეთუ დამდვა ქედსა ზედა ჩემსა იგი, განაახლო, ვითარცა ორბისა, სიჭაბუკეც ჩემი(ფს.102,5) და გამომაჩინო მე უშემკულელს უფროსს მანიაკსა ოქროსასა სათნოდ და დასაჯერებლად შეუფისა ჩემისა შესუ ჭრისტსა, რომლისა სურვილი მაძულებს მე ღუანოდ ვიდრე დღეს ჰგისლა».

სრქუა მას **ვლიანოს**: «აჰა ესერა მიგცემ შენ დროსა სამ დღე, და მესამესა დღესა ანუ გიქორწინო, ანუ გგუემო შენ ავურაცხელითა და მრავალ-ფერთა სატანჯველითა». შიუგო წმიდამან **წნასტასია** და ჰრქუა: «შეჰრაცხე, რეცა წარსრულ არიან ორნი იგი დღენი, და ესე მესამე არს. შა ამას უწყებულ იყავ, ვითარმედ სატანჯველნი შენნი აღმირჩევიან საშუებელთა შენთა, რომელთაცა მიერ მივიწიო შისა, ჯომლისაცა ტრფიალებითა და სურვილითა აღგზებულ არს გონება ჩემი». სრქუა მას **ვლიანოს**: «და ვინ არს იგი, რომლისაცა ესრედ ტრფიალ ხარ და გიყუარს?» მიუგო წმიდამან **წნასტასია** და ჰრქუა: «ჭრისტე არს, ძე იმრთისა ცხოველისაჲ». სრქუა მას **ვლიანოს**: «სიკუდილითა მისითა მოსიკუდიდ ხარ შენ». ჩმიდამან **წნასტასია** ჰრქუა: «ამენ». **ვლიანე** ჰრქუა: «და რა არს ამენი?» წმიდამან **წნასტასია** ჰრქუა: «არა ღირს ხარ შენ ცნებად თარგმანებასა ამის სიტყვასაჲ». სრქუა მას **ვლიანე**: «შეინყალე თავი შენი და ისმინე ჩემი, დამემორჩილე და სცხონდე».

12. შა დაუტევა იგი დედათა თანა თვსთა, რაჲთამცა სიცრუევით და ვერაგობით არწმუნეს მას გებად კერპთა. ღოლო იგინი მრავლითა უცნებითა ჰმოგუნიდეს მას და რომელნიმე ჰკოცნიდეს მუჭლთა მისთა და რომელნიმე ფერჳთა და ჯელთა, და რომელთამე მიაქუნდა მისა სურნელი მრავალ-ფერი, და სხუათა – მარგალიტი და თუალები პატიოსნები, და სხუანი მოართუმიდეს მას სამოსელსა ზეეზისასა და ბისონისასა და ზენრებსა, პორფირებსა მრავალ-სასყიდლისასა, და რომელნიმე – სამკაულსა და ფარღლებსა ოქროსასა, რეცა საქორწინებელად მისა, და სხუანი – საჭმელთა და სასუმელთა გულის-სათქუმელთა და გემოვანთა.

ღოლო წმიდასა და ნეტარსა **წნასტასიას** გონებაჲ თვსი ზეცად მიეგზავნა იმრთისა თანა და ყოვლადვე არა მიჰხედა საუცართა მათ

საცთურთა და საშუებელთა ქუეყანისათა, და სამთავე მათ დღეთა და ღამეთა განეპყრნეს ჯელნი თვსნი ზეცად მიმართ და იმრთისა მიმართ, დადგრომილ იყო იგი ლოცვასა და არცა ჭამდა და არცა სუმიდა, არცა დაჯდებოდა და არცა დაიძინა ყოვლადვე.

13. შა მესამესა დღესა გამოვიდა **ვლიანოს** და ჰკითხა დედათა მათ და ჰრქუა: «რაჲ უკუე ჰყავთ? არწმუნეთა **წნასტასიას** მსახურებაჲ ღმერთთაჲ?» მიუგეს და ჰრქუეს მას: «სიტყვს-გებაჲ ჩუენი და ლიქნაჲ შეერაცხა მას, ვითარცა ყუავთა ყივილი, და სამკაულნი და საშუებელნი, რომელნი წინა-უყვენით, ყოვლადვე არა მიჰხედა, არამედ განემარტნეს თუალნი თვსნი და აღეპყრნეს ჯელნი ზეცად მიმართ. შით ჟამითგან, ვინაჲთგან მომითუალე იგი ჩუენ, ვიდრე აქამომდე არცა უჭამიეს რაჲ, არცა უსუამს, არცა დაუძინებიეს. ღოლო ან უკუეთუ გნებაჲს დამორჩილებაჲ მისი, შევედ მისა და იჯუმიე იგი, ვითარცა მამაკაცმან, და ნურარას მიზეზსა განყენებისასა მიდთუალავ მისგან და ამით მძლე ექმნე მას».

შაშინ შევიდა მისა **ვლიანოს** და ენება, რაჲთამცა შედტკბო იგი. ღოლო წმიდამან **წნასტასია** ჰბერა პირსა მისსა, და მუნთქუესვე მიელო ნათელი თუალთაგან მისთა და დაბრმა და ერქუეფებოდა იგი კედელთა სახლისათა, რომელსა შინა ილოცვიდა მჴევალი ოფლისაჲ წმიდაჲ **წნასტასია** სამ ჟამითგან ვიდრე მწუხრამდე. შა ვითარცა იხილა **ვლიანოს** თავი თვსი გუემასა მას შინა, უჯმობდა იგი ღმერთთა თვსთა ღმობიერად: **ხოვსს** და **წბირონს** და **წფროდიტეს** და **წრტემის** და **წბულონს** და იტყოდა: «ჴ დიდნო ღმერთნო, მეწინენით მე და მიჴსენით ამის ჭირისაგან». ლოცვიდა, და **ვლიანე** სიკუდილდ მიწვეწული კედელთა ეფეშუებოდა.

14. შა ვითარცა იხილეს იგი ესრედ მონათა მისთა, ზარი განჴდა და უპყრეს და გამოიყვანეს იგი მიერ სახლით და ჰკითხვიდეს მას მიზეზსა შემთხუევისა მისისასა, ხოლო მან მძაფრისა მისგან ტკივილისა ვერარაჲ მიუგო. შა წინა-ძლომით წარიყვანეს იგი საყოფელად თვსა. შა ინყეს ყოველთა მსახურთა მისთა ჴმითა მაღლითა წყევად მეფისა და ბრალობად ჴელმწიფისა მის, რომელმან შეჴვედრა წმიდაჲ **წნასტასია** უფალსა მათსა.

შა შემდგომად შუევა-ღამისა, ვითარცა იყო იგი დიდსა შინა ტანჯვასა, ევედრა იგი მონათა

თვსთა, რადთა წარიყვანონ იგი ტაზრად კერპთა, ვითარცა მღდელთ-მოძღუარი, და უგონ კერპთა, რადთა ღვინება-ყოს მის ზედა და განარინოს იგი პატიჟისა მისგან მოწვევულისა.

შაშინ მიუგეს მას ეშმაკთა ჳმითა მალ-ლით და ჰრქუეს: «ამისთვის რამეთუ შეანუხე შენ მწევალი იმრთისაჲ **წნასტასია**, მოცემულ ხარ შენ ჩუენდა სატანჯველად და ამიერიტგან ჩუენ თანა ყოფად ხარ შენ **ჯოჯოხეთს შინა**». შა ვითარცა ესმა ესე **სელიანეს**, ფრიად შედ-ნრდა მის ზედა. შაშინ, ვითარცა წარუძღუეს მონანი მისნი სახედ თვსა, დაეცა იგი გზასა ზედა და სულნი წარჰჳდეს და განციენა. შა მუნთქუესვე მიავლინა ჳელმწიფემან მან და იავარ-ყო ყოველი მონაგები მისი, ვითარცა აღეთქუა მისსა.

15. შა შემდგომად ამისა გამოვიდა მწევალი ოფლისაჲ წმიდაჲ **წნასტასია** სახლისა მისგან და მიიწია იგი **ქეოდოტესა** და აუწყა მას, რომელი-იგი სასწაული ყო იმერთმან მის თანა. შა დაადგრეს იგინი ლოცვასა მრავალ დღე. შა ვითარცა მოიწია **ლუკადიუს** ქუეყანით **სითუნიათ**, ილუწიდა იგი, რადთამცა ცოლად შეირთო **ქეოდოტე**, და მრავალთა დღეთა აწყინებდა და სტანჯვიდა ოდესმე ლიქნით და ოდესმე სიქადულით. ღოლო წმიდამან **ქეოდოტე** ყოვლადვე არა შედწყნარა მოგუენად იგი მისი, რადთამცა ცოლ ეყო იგი მას. შა ვითარცა აგრძნა მან, ვითარმედ წმიდაჲ **წნასტასია** მის თანა იყოფის, მისცა იგი მსაჯულსა და **ქეოდოტე** შებორკილა ბორკილითა სამთა ნაშობთა მისთა თანა და წარსცა იგი **სითუნისა** ჳელმწიფესა **სლურიკიასასა**, და შეაყენა საპყრობილესა მტკიცესა. შა განკრძალულად სცვიდეს მას, რამეთუ ეუწყა მკვდრთაგან მის ქუეყანისათა მთავარსა მას, ვითარმედ არს იგი ასული ბრაკსტარისაჲ, რომელ არს **სრომეს** შინა შემდგომი მეფისაჲ, და არს იგი დიდებულ ფრიად ნათესავითა. შა ამისთვის ჰგონებდა მთავარი იგი, ვითარმედ აქუს მას მონაგები აურაცხელი.

16. შაშინ ბრძანა მთავარმან მან მოყვანებაჲ წმიდისა **წნასტასიასი** და განიყვანა იგი თვსაგან და ჰრქუა: «უკუეთუ გნებავს შენ, რადთამცა იყავ შენ ჴრისტიანე, აღ-უკუე-ასრულე ბრძანებაჲ ჴრისტეს შენისაჲ და წარვედ, სადაცა გენებოს». სრქუა მას წმიდამან **წნასტასია**: «ჰე, რამეთუ მიყუარს მე ბრძანებაჲ ჴრისტისი უფროსს ოქროსა და ანთრაკისა პატიოსნისა მრავლისა, და უტკიბილეს არს სასასა ჩემსა

უფროსს თაფლისა მის გოლეულისა». სრქუა მას მთავარმან მან: «ყავ უკუე ან ბრძანებაჲ შისი, ჴამეთუ იტყვს: „რომელმან არა იჯმნეს ყოველთაგან მონაგებთა თვსთა, ვერ შემძლებელ არს იგი მოწაფე ყოფად ჩემდა“(ლკ.14,33). წნ უკუე მომეც მე მონაგები, რომელი არს შენ თანა, და მაშინლა ჳუმმარიტად იყო შენ მოწაფე ჴრისტესი, ჴომელმან ბრძანა ესრტთ».

შოუგო მას წმიდამან **წნასტასია** და ჰრქუა: 10 «მე უწყი, ვითარმენ ოფალმან ჩემმან ბრძანა სახარებასა შინა, ვითარმედ: „განყიდეთ ყოველი მონაგები თქუენი და განუყავით გლახაკთა და გაქუნდეს საფასეჲ მოუკლებელი ჴათა შინა და მოვედ და შემომიდეგ შე“(მრკ.10,21). 15 წნ უკუე შენ მდიდარი ხარ და არა გლახაკი. შა უკუეთუ შენ მიგცე მონაგები ჩემი, ურჩ ვექმნე მე ბრძანებასა ჴრისტესსა, რამეთუ მან გლახაკთაჲ თქუა განყოფად და არა მდიდართაჲ, არამედ თქუენ მდიდარნი და-ცა-გაყენნა ტაბლისაგან პურსა ზედა, რამეთუ თქუა: „ოდეს უკუე ჰყოფდე სერსა, ნუ მოჰხდი მოძმეთა შენთა მდიდართა ტაბლასა ზედა და ნუცა მათ, რომელნი კუალად ნაცვალსა მოგაგებდენ შენ, არამედ გლახაკნი და უქონელნი შედყვანენ 25 სახედ შენდა“(ლუკ.14,12-13). წნ უკუე რაჲსა მოატყუებ თავსა შენსა ამას შეურაცხებასა და მეტყვ მე, რადთა მიგცე მონაგები ჩემი, ვითარცა გლახაკსა? არამედ უკუეთუ გნებავს, რომლითა მე უწყი, ვითარმედ გლახაკ ხარ, იგი 30 ითხოვე ჩემგან, და უფროსს სარგებელ არს შენდა». სრქუა მას ლუკიონ მთავარმან: «და რომლითა უწყი შენ, ვითარმედ გლახაკ ვარ?» ჰრქუა მას წმიდამან **წნასტასია**: «გლახაკ ხარ შენ ჳჯუღლითა».

35 ლუკიონ ჰრქუა: «ან უკუე შენ გაქუს ჳჯუღლი მართალი და სარწმუნოებაჲ ჳუმმარიტი, არქუ მთასა ამას: „იცვალე, და იცვალოს იმიერ იქი“, რამეთუ ესრე უბრძანებოეს მოძღუარსა შენსა(მთ.17,20)». სრქუა მას წმიდამან 40 **წნასტასია**: «შენ არა ჰურიია ხარ, ვითარ ითხოვე ჩემ გლახაკისაგან ამას ესე ვითარსა სასწაულსა?» ჰრქუა მას ლუკიონ: «და თვნიერ ჰურიათასა არავინ ითხოვისა სასწაული?» ჰრქუა მას წმიდამან **წნასტასია**: «მოციქული 45 **სავლე** იტყვს, ვითარმედ: „ჰურიანი სასწაულსა ითხოვენ, და წარმართნი სიბრძნესა ეძიებენ, ხოლო ჩუენ ვქადაგებთ სესუ ჴრისტესა და წმასცა **ჯუარ-ცმულსავე**“(1 კორ.1,22-23). სრქუა მას ლუკიონ: «მაშა, უკუეთუ იმერთი

შენი ჯერ-ცმულ არს, რადაა არა ჰმსახურებ **ხოვსს**, რომლისადა არაა ესევეთარი შეურაცხებაა შემთხვევულ არს?» ჰრქუა მას წმიდამან **წნასტასია**, რამეთუ: «ხოვს შეურაცხებაა თვთ ქმნა, ხოლო ჭრისტესა შეემთხვა. **წნ** უკუე მიემსგავსე ღმერთსა შენსა შენსა შენ და მე – იმერთსა ჩემსა».

ლუკიონ ჰრქუა: «და ესე უმჯობეს არს შენდა, რაათა მიემსგავსო ღმერთსა შენსა». ჩმიდამან **წნასტასია** ჰრქუა: «ჰე, რამეთუ ჭემ-მარიტად უმჯობეს არს ჩემდა, ღირს ხოლო თუ ვიქმნე». ზრქუა მას ლუკიონ: «ვიდრე აქამომდე მიშუებით გაძოვე შენ და თავს-ვიდევე შენი, ამისთვის რამეთუ მესმა შენთვის, ვითარმედ დიდებულთაგანი ხარ შენ ნათესავით. ღოლო უკუეთუ დაადგრე სიცოფესა შენსა ზედა, მაძულო მე შურის-გებად შენდა მრავლითა სატანჯველითა». შიუგო წმიდამან **წნასტასია** და ჰრქუა მას: «ანლა იწყე, უკუეთუ გნებაეს ტანჯავად ჩემი და უწყოდე, ვითარმედ არას ვზრუნავ ამისთვის, რამეთუ მე ყოველი ცხორებაა ქრისტესა განუკუთნე».

17. შაშინ ბრძანა ლუკიონ, რაათა შეაყენონ იგი შინაგანსა საპყრობილესა და აშინებდენ მას ფრიადითა სიქადულითა და არარად საზრდელი მისცენ მას ვიდრე მზისა დასლვამდე. შა მათ ყვეს ეგრე.

ღოლო ნეტარი **წნასტასია** არას მისგანსა შედწყნარებდა, რომელსა მოართუმიდეს მას. შა ყოველთა ღამეთა მივიდოდა მისა ნეტარი **ქეოდოტე**, რამეთუ გამოუჩნდეს იგი ნათლითა გამოუთქუმელითა და მოართეს მას ტაბლაჲ შეენიერი, საესეჲ სურნელითა საზრდელითა. შა იშუებდიან და ილოცვიდიან ღამე ყოველ.

შიუგო და ჰრქუა წმიდამან **წნასტასია** ნეტარსა **ქეოდოტეს**: «ჰ დაო ჩემო **ქეოდოტე**, შენ უკუე წამებულ ხარ სახელისათვს **აფლისა** ჩემისა **ესე** ჭრისტესა და ვითარ უკუე აქა ჩემ თანა მოხუედი?» ჰრქუა მას წმიდამან **ქეოდოტე**: «ესე მაღლი და ჯელმნიფებაჲ მოსცა **აფალმან** მონამეთე შისტა, რაათა გამოეცხადებოდიან, ვისაცა ენებოს, რომელნი სინმიდით დადგრომილ არიან, რაათა ნუგეშინის-სცენ და აუნყონ, რომელსა-იგი კეთილსა მიმთხუევად არიან. შა აჰა ესერა განმზადებულ არიან სა-შუებელნი იგი საუკუნენი ხეცისანი და ცხორებაჲ საუკუნოჲ, და გუნდნი ანგელოზთანი იხარებენ შენთვის. **წმისთვის** მომეცა მე ჯელმნიფებაჲ მოსლვად და ნუგეშინის-ცემად შენდა».

შა ესრეთ ვიდრე ქათმისა ჯმობადმდე ილოცვიდიედ და იხარებედ ურთიერთას. შა რაჟამს ქათამმან ჯმა-ყვის, წარვიდის წმიდაჲ **ქეოდოტე**. შა დაადგრეს იგი ამით ესევეთართა განგებითა ოც და ათ დღე.

18. ღოლო ლუკიონის ჰგონებდა, ვითარმედ მომკუდარ იყოს ან წმიდაჲ **წნასტასია** საპყრობილესა მას შინა სიყმილითა და სიბნელითა მით დიდითა, და ჰრქუა მსახურთა თვსთა: «გამოიღეთ ან მკუდარი იგი მიერ საპყრობილით და დაჰმარხეთ იგი ქუეყანასა». შა ვითარცა მივიდეს მსახურნი იგი და განაღეს კარი საპყრობილისაჲ მის, პოვეს წმიდაჲ იგი მდგომარეჲ, და ილოცვიდა იმრთისა მიმართ.

19. შაშინ მივიდეს იგინი და აუნყეს მთავარსა მას, ვითარმედ ცოცხალ არს **წნასტასია** და რამეთუ არსლა იგი უძლიერჲს პირველისა. შა ბრძანა მოყვანებაჲ მისი. შა ვითარცა იხილა, რამეთუ უძლიერეს და უმხიარულეს პირველისა იყო იგი, განრისხნა იგი მესაპყრობილეთ-მსახურსა ზედა და ჰრქუა: «შეურაცხ-ჰყავთ თქუენ ბრძანებაჲ იგი ჩემი და საზრდელსა მისცემდით ამას». შა ბრძანა კუალად შეყენებაჲ მისი საპყრობილესაჲ და ბეჭდითა თვსითა დაჰბეჭდა კარი საპყრობილისაჲ მის, ამისთვის რამეთუ ენება, რაათამცა სიყმილითა აღესრულა იგი. ღოლო მას, ვითარცა პირველ ვთქუთ, ზრდიდა მოყუასი იგი მისი წმიდაჲ **ქეოდოტე**, და უფროსლა განძლიერდებოდა.

20. შაშინ ბრძანა მთავარმან მან, რაათა შთასუან იგი ნავსა სხუათა თანა მრავალთა სიკუდილისა თანა-მდებთა და დაანთქან იგინი სიღრმესა ზღვსასა, რამეთუ იყვენეს მათ შორის რომელნიმე კაცის-მკლველნი და რომელნიმე მეუნასენი და რომელნიმე ფრიად ბრალეულნი. შა კუალად იყო მათ თანა კაცი ჭრისტიანჲ, რომელსა სახელი ერქუა **ესტუშოის**, რომლისაჲ წარელო მონაგები მისი მამული ფრიადი, რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიადი. შა იყო იგი გარდარეულად წრფელ, ვიდრემდის შეურაცხ იქმნა იგი სინრფოებისა მისისაგან. ესე განეშიშულა ყოველთაგან საფასეთა მისთა, ხოლო იგი დუმნა და არას ზრუნვიდა მათთვის, რაათამცა არა წარწყმიდა სიმდიდრეჲ სულისა თვსისაჲ ჭემმარიტი, რამეთუ რაჟამს წარადგინიან იგი სამჯავროსა წინაშე მსაჯულისა და ჰკითხვიან, არარად მიუგის მან, გარნა ესე ხოლო: «ვერვინ შემძლებელ არს განშორებად ჩემდა ჭრისტესგან ვიდრე თავისა

მოკუეთადმდე». **ბა** ესეცა მათ თანავე იყო, რომელთა-იგი ზღუასა დაათქმიდეს.

და იყო რიცხვ მათი, რომელნი შესხნეს ნავსა შთასათხვევლად ზღუასა, ვითარ ას ოცი სული მამათა და დედათაჲ, რაჲთა დაითქნენ სიღრმესა, და წმიდაჲ **წნასტასია** – მათ თანა. **ბა** ვითარცა შედევანნეს იგინი ერისა კაცთა მათ საშუვალ ზღუასა, მაშინ სცეს ნავსა მას და განჯურიტეს იგი მახვლითა და დაუტევეს იგი, რაჲთა დაინთქნენ ყოველნი, და იგინი წარვიდეს.

20. **შა**ს ჟამსა გამოუჩნდა მათ წმიდაჲ მონამე **ძეოდოტე**, რამეთუ დგა იგი ნავსა მას შინა ადგილსა მას, სადა-იგი განეჯურიტა ურჩულოთა მათ, და დააყენა წყალი არა შეღვად ნავსა და განარინა იგი დათქმისაგან. **ბა** მიეახლა იგი წმიდასა **წნასტასიას** და ჰრქუა მას: «ასწავე ერსა ამას სარწმუნოებაჲ **ოფლი**სა ჩუენისა **ესუ ღრისტისი**». **ბა** ურჩუენებდა წმიდაჲ მონამე მათ ყოველთა წმიდასა **ივტუშოისს** და ეტყოდა: «ესე არს მონამე **ღრისტე**სი ჭეშმარიტი».

შაშინ იწყო წმიდამან **წნასტასია** ამბორის-ყოფად მუჭლთა მისთა და ეტყოდა მას: «ლოცვა-ყავ, წმიდაო, რაჲთა ნათელ-ილოს კრებულმან ამან სახელითა **შამისა**ჲთა და **ძი**საჲთა და სულისა **რმიდისა**ჲთა». **ბა** დაადგრა ნავი იგი შორის ღელვათა ერთ დღე და ერთ ღამე შეუძრველად, ვითარცა ჯმელსა ქუეყანასა, უშიშად და უზრუნველად. **ჟო**ლო დღესა მესამესა გავიდეს იგინი ხერთვისსა ერთსა, რომელსა ჰრქვან **ჟანმოროან**, რომელსა შინა იყო სიმრავლე ებისკოპოსთაჲ და ხუცესთაჲ და მრავლისა ერისა მორწმუნისაჲ, რომელნი ჟამსა მას დევნულებისასა მუნ შინა დამკვდრებულ იყვნეს. **ბა** ვითარცა განვიდეს იგინი, მიეგებოდეს იგინი გალობითა და შესხმითა სულიერითა, და ფრიადითა სიხარულითა შედწყნარნეს იგინი მათ და ნათელ-სცეს მათ ყოველთა, და იხარებდეს ერთობით.

21. **შა**შინ წარივლინნეს მთავრისა მის მიერ ზღვს-კიდეთა ყოვლით კერძოვე მენავენი და მეთევზურნი, რაჲთა იხილონ, სადა უკუე განუთხევიან ზღუასა გუამები იგი კაცთა მათ ზღუასა დათქმულთაჲ, და არა პოვეს. **ბა** მოვინმე-ვიდა ერთი წარმართთაგანი, რომელსა გულისჴმა-ეყო ყოველი საქმე წმიდათაჲ მათ, და აუწყა მთავარსა მას, ვითარმედ კაცნი იგი, რომელთაჲ ჰბრძანე ზღუასა შთათხევაჲ, ყო-

ველნივე განრომილ არიან და **ღრისტიანე** ქმნულ არიან და იყოფიან იგინი ხერთვისსა შინა **ჟანმოროასასა**, რამეთუ მშვედობით განერეს იგინი ზღვსა მძვწვარებასა და არიან იგინი სხუათა მათ თანა, რომელნი პირველითგან იყოფოდეს მუნ შინა, და დღით და ღამით უგალობენ იმერთსა მათსა.

შაშინ წარავლინა მთავარმან მან სიმრავლე ერისა კაცთაჲ, და მოიყვანნეს მიერ ყოველნი იგი, და დაუდვა წინაშე მათსა ნიჭი დიდძალი და საფასეჲ აურაცხელი და კუალად მას თანა მახვლნი წუდილნი, რაჲთა რომელმან უგოს კერპთა, წარილოს ნიჭი დიდძალი და პატივცემულ იქმნეს მის მიერ; და რომელმან არა აღიარნეს კერპნი ღმერთად, მოეკუეთოს თავი მახვლითა და გუამი მისი დაინუას ცეცხლითა.

22. **ბა** იყვნეს დედანი ხოლო ორას სამეოც და ათ, თვნიერ ყრმებისა და მამებისა. **ბა** ამას ყოველთაგანსა არცალა ვის ერთსა ენება განშორებაჲ შეთქმულებისა მისგან **ღრისტე**ანობისა. **ბა** ვერცა ვინ შედტყუვა საფასეთა მათგან ურიცხუთა, არამედ ყოველნივე სურვიელად და სიხარულით იწამნეს **ღრისტე**სთვს და გვრგვინოსან იქმნეს. **ჟო**ლო წმიდაჲ **წნასტასია** მოყვანეს და დაასვენეს ოთხნი მანნი ქუეყანასა და მათ განუკრნეს საბლითა მტკიცედ ჯელნი და ფერწნი მისნი და ცეცხლი აღუდგეს ქუეშე ზურგსა მისსა. **წრამედ** მწნედ დაუთმო მან მოლოდებისათვს **ხეცისა** სასუფეველსა და ჰმადლობდა **ოფალსა** ჩუენსა **ესუ ღრისტესა** და სატანჯველსა მას შინა საშინელსა შეჰვედრა სული თვისი ჯელთა **ბა**მბადებელისა თვისისათა.

23. **შა**შინ დედაკაცი ვინმე იყო შერაცხილთაგანი, რომელსა ეწოდა **ჟარნაბა**. **ესე** ღირს იქმნა დამარხვად პატიოსანთა მათ ნაწილთა წმიდისა მონამისა **ანასტასიასთა**, რომელმანცა რაჟამს მიიხუნა, სურვიელად ამბორს-უყოფდა მათ და შემურნა იგინი მრავლითა სურნელითა და წარგრაგნა სამოსელსა წმიდასა და სამოთხესა შინა თვსსა დაჰმარხნა იგი, ვითარცა ჯერ-არს წმიდათა მონამეთაჲ, და იმართისა მიერ მრავალთა სასწაულთა და საკრველთა იქმს ვიდრე დღენდელად დღედმდე სადიდებელად სახელისა **შისისა**, **ღომელსა** ჰშუენის თაყუანის-ცემაჲ და მადლობაჲ, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. **წმენ**.